

# საქართველო

პროფესორი თეიმურაზ ზვინაძის ხელმოწერა — პროფესორი თეიმურაზ ზვინაძის ხელმოწერა

პროფესორი თეიმურაზ ზვინაძის ხელმოწერა

საპარტვილოს ბაერტიანეზული რესპუბლიკური პარტია  
 ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  
 გამოდის 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 20 (1421)

23 - 30 ივნისი 1995 წ.



## შამილ ბასაევი: ორი მტერი გყავს — რუსეთი და საქართველო


ბუდიონოვსკში დატრიალებული მოვლენების დროს, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება რუსეთის ამ პატარა ქალაქისკენ იყო მიპყრობილი, ჩეჩენ „ბოვეიკთა“ ლიდერი, ე.წ. „აფხაზური ბატალიონის“ მეთაური შამილ ბასაევი, სახელდახელოდ მოწყობილი ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩეჩენ ხალხს და მთლიანად კავკასიას ორი დაუძინებელი მტერი ჰყავს: რუსეთი და საქართველო. კონკრეტულად ბასაევის აზრი, ადამიანისა, რომელსაც რუსმა სამხედროებმა მშობლები და ცოლ-შვილი ამოუწყვეტეს, ამ შემთხვევაში ნაკლებად საინტერესოა, ესაა კარგი მეომარი, მაგრამ გამწარებული კაცი, რომელსაც მოვლენათა ანალიზს ვერც მოთხოვ. მთავარი სხვაა: საქართველო-რუსეთის იმპერიული ალიანსის ეს თეზისი, როგორც იტყვიან, „არ ახალია“. იგი სწორედ რუსეთის სპეცსამსახურების მეცადინეობით შექმნილია და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე მიზანს ემსახურებოდა „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ შექმნაც, შედეგი სახეზეა: ჩრდილოეთ კავკასიელთა აქტიური მონაწილეობა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ... და ახლაც, როცა ჩეჩენეთში ჯერ კიდევ ომია და როცა პრაქტიკულად მთელი ქართველი ერის სიმბატონები ჩეჩენი ხალხის მხარეზეა (რაც, რასაკვირველია, არანაირად არ ამართლებს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ტერორს) — ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი, მთელი მსოფლიოს გასაგონად, კიდევ უფრო აღრმავებს აფხაზეთის ომის დროს გაჩენილ ბზარს ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელთა შორის. უკვე მერამდენედ გვიხდება იმის თქმა, რომ „ვაგებთ საინფორმაციო ომს“.

საინტერესოა — როდემდე?..

## სისხლიანი კოშმარი დათავრდა?!

20 ივნისს, მოსკოვის დროით 22 საათზე ჩეჩენი ტერორისტები შამილ ბასაევის მეთაურობით შევიდნენ ჩეჩენეთის ტერიტორიაზე და გაანთავისუფლეს თან წყევნილი მოხალისე — მძევლები, რომელთა დიდ ნაწილს ჟურნალისტები შეადგენენ. ასე რომ, ბუდიონოვსკის სისხლიანი კოშმარი, რომელიც 5 დღეს გრძელდებოდა და 50<sup>+</sup> კაცის სიცოცხლე შეიწირა, დასრულდა, სამაგიეროდ დაიწყო გამოძიება. თუ როგორ, რა საშუალებებით შეადგინეს ტერორისტებმა სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე. შამილ ბასაევის თქმით, მოსკოვამდე ვერ ჩავიდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ „გაი“-ს ინსპექტორები სტავროპოლის მხარეში ხარბები აღმოჩნდნენ და ჩეჩენებს შეეძლო აღარ დარჩათ. მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის სახელმწიფო ავტონისპექციის უფროსის მოადგილემ, ვასილევმა განაცხადა, რომ ეს ფაქტი შესაძლებელია და თუ მსგავსი რამე დაფიქსირდა, დამნაშავენი მკაცრად დაისჯებიან. ისე, როგორც ამბობენ, სტავროპოლის მხარეში ჩეჩენები ძალიან მშვიდად და თავისუფლად შევიდნენ, ხოლო იარაღი კუბოებით შეიტანეს. თუმცა ჯობია დაველოდოთ ოფიციალურ განცხადებას, რომელსაც შემდეგ კვირაში გააკეთებს პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი კომისია უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

ტერორისტული აქცია ბუდიონოვსკში დასრულდა, მაგრამ ეტყობა რუსებს მშვიდი ძილის საშუალება დიდხანს არ მიეცემა. საინფორმაციო საშუალებებმა გააფრთხილა რუსეთის მოსახლეობა გამოიჩინონ სიფრთხილე და თუ შეამჩნევენ უპატრონოდ შიტოვებულ საეჭვო ნივთებს, მაშინვე განაცხადონ ამის შესახებ.



## მორიგი ტერორისტული აქტი საქართველოში

საკუთარი სახლის წინ მიტოვებს „გაგანდნადის ფენის“ „დემოკრატია და ალტერნატივა“ გამგეობის თავმჯდომარე — სლოივთ საბივილი. ეჭვით ვთავაზობთ სლოივთ საბივილის მიერ თავის სასამართლოზე წარმოთქმული სიფყვის ციფცისა და მწერალ ლილა მურთველის მიერ საკანში მჯდომ ს. საბივილთან აღძრულ ინციფიცი.

ბოლოც პირველ, ისე მეორე მსალხს კულტორად ვერ წაივითსაგს მვითსვილი. ლ.მურთველიმა საწაფიბთს საკნიდან დავვისაფა პბტფტვი ყვლასაგან მიმტლუმული განწირული ადამიანისა, ბომლიც ერთ დბტს ეფყანას აგანბაბრდია თავისი თანამემომბით, სასყლით, მემბბბბბბბ. ამ მასალუმის მვითსვილი უთოდ დასკვნის, ბბბ სადბბბბბბბ ერთი უნიბბბბბბ ვადბბბბბბ დაპბბბბ, ბბბბბბ ცსბბბბბბ ასე უმედუბბბ წბბბბბბბ აბბბბ გამბბბბბბ თუ იმ უბბბბ საბბბბბბბბბ, ბბბბბბბ მვლიმბბბ თითბბბბბბ ჩვბბბბბბბ ვბბბ და სადბბ ცბბბბ გამბბბბბბ ვბბბ სივბბბბ ბბბბბბბბბ მბბბბბბბბ ბბბბბბბბ.

## «მე ვარ უზნეო ადამიანთა დანაშაულებრივი შეთქმულების მსხვერპლი»

## სოლიკო საბაიშვილის საბოლოო სიტყვა


წარმოთქმული საქართველოს უმაღლესი კოლეგიის სხდომაზე

ცხოვრებაში მაქვს ერთადერთი მიზანი: დეამტეციო, რომ იმ 24 ებბბბბბბბბბბ, რომელიც ბრალად მედბბბ, არც ერთი არ ჩამიდენია. ამისთვის, ყველაზე ცბბბ, სიცოცხლე უნდა შევინარჩუნო. გუმბბ ბრალდებამ ამაში ხელი შემიწყო და უფლება არა მაქვს, ეს ობბბბბბბბბბ არ შევადგა.

დავიწყებ ძირითადიდან: რამდენიც უნდა ეცადოს ძიება, სახელმწიფო ბრალ-

მდებელი, მასობრივი ინფორმაციის სა-შუალებანი, დაამტეციონ, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში იხილება ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმე, მართალი არ იქნება. არ შეიძლება, რომ სადმე, მათ შორის, უმაღლეს სასამართლოში, განიხილონ ის, რაც არ არსებობს. ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ჩემი ცხოვრე-

ბის მანძილზე არ ჩამიდენია არც ერთი სისხლის სამართლის დანაშაული, არც შეგნებულად, არც უნებლიეთ. არასოდეს არც ოჯახში, არც ჯიბეში უწყსოდ ნაშოვნი კაბიციკ კი არ მქონია. არც შეიძლება მქონოდა, რადგან ასეთი აზრი არასოდეს მომსვლია. ჩემი მორალი ამის უფლებას არ მაძლევდა... არ ვიცი, ვინ ან როდის წაიკითხავს ჩემს სიტყვას, მაგრამ, დარწმუნებული



# სცემის ჟურნალისტი

## მ ი მ ა რ თ ვ ა

რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს ბატონებს ჯემალ გორგოძეს, დავით კოვირიძეს და ვახტანგ ძაბირაძეს

საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის თავმჯდომარეს ბ-ნ აკაკი სიხაძე ულიძეს

ტელევიზიის კორპორაციის თავმჯდომარეს ბ-ნ არჩილ გოგელიას გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს“ და ზესტაფონის „მოამბის“ რედაქტორებს ბატონებს გურამ გოგიაშვილს, ნოდარ გრიგალაშვილს და ქალბატონ მარინა ჯულელს

ზესტაფონის რაიონის პროკურორს ბ-ნ გია ფანჩულიძეს

1995 წლის 5 მაისს, ქ. ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკში, 4 მაისს დადგმული სტალინის ძეგლის მოსანახულებლად ჩამოსულ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერთან, გენერალ პანტელეიმონ გიორგაძესთან მისულ ჟურნალისტს, ზესტაფონის დამოუკიდებელი ტელევიზია „იმერეთი-2000-ის“ რედაქტორს ბ-ნ თამაზ წერეთელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გენერლის დაცვის მუშაკმა.

ყველა შემთხვევაში ჩვენ ჟურნალისტის

მხრიდან კონფლიქტის, ან გაუგებრობის წარმოქმნის საფუძველს ვთვლით მიუღებლად, მაგრამ მომხდარ ფაქტს მივიჩნევთ ადამიანის უფლებათა შელახვად, ჟურნალისტის პროფესიის აბუნად აგდებად.

ყველა ჟურნალისტის სახელით მოვითხოვთ:

რაიონის პროკურორმა სათანადო შეფასება მისცეს მომხდარ ფაქტს.

დეპუტატებმა პარლამენტის შესაბამისი მუდმივი კომისიების მსჯელობის საგნად აქციონ პიროვნების თავისუფლების ხელყოფა და გაარკვიონ ერთ-ერთი რიგითი პარტიის ლიდერის დაცვის კანონიერების საკითხი.

რის დაცვის კანონიერების საკითხი.

ჟურნალისტიკა ფედერაციამ კმედითი ღონისძიებანი გაატაროს ჟურნალისტიკა დასაცავად. ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციამ შეისწავლოს მომხდარი და შედეგები აცნობოს საზოგადოებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ინფორმაცია გაავრცელონ მომხდარი ფაქტის შესახებ.

საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის ზესტაფონის რაიონული ორბანიზაცია.

### ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ! ეს მიმართვა ერთი თვის უკან დაეგზავნა ადრესატებს, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოხვოლია. ისე გამოდის, რომ ზესტაფონის ტელევიზიის რედაქტორის ბატონ თამაზ წერეთლის ცემა „ხახვივით შერჩა“ პანტელეიმონ გიორგაძეს და მის დაცვას. იქნებ, გაზეთმა „საქართველო“ გამოაქვეყნოს ეს განცხადება შესაბამისი კომენტარით, თორემ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ კომუნისტებს ასეთი თავხედობა ერთხელ შერჩათ, მეორედ უარესს იზამენ.

გამათიანებულ რესპუბლიკურ პარტიის ზესტაფონის რეგიონალური ორგანიზაციის თავ-რამ: ბ. ბიბილაშვილი

### გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ზესტაფონის რეგიონალური ორგანიზაციის

### საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის

პკირვასო ბატონო! თქვენს მიმართვაში წამოჭრილი საკითხის შესახებ გაზეთი „საქართველო“ უკვე წერდა: (იხ. „საქართველო“ №18 „მაღე ბერბიჭაშვილის ძეგლსაც წამოჭიმავენ“) ამიტომ ჟურნალისტის ცემის სამწუხარო ფაქტზე აქ ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. გვინდა ერთი პატარა საყვედური შემოგვადროთ, თქვე დალოცვილებო, ჟურნალისტი რომ არ გაელანათ ამხანაგ პანტელეიმონ გიორგაძის დამცველებს, პირში წყალი უნდა ჩაგეგუბებინათ? სტალინის ძეგლის დადგმა ზესტაფონში რომელხლაც პარტიის სურვილით, განა კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ფაქტი არ არის?

რამდენი პარტიაცაა, ყველამ რომ თავის ჭკუაზე წამოჭიმიოს ძეგლები, კიდევ უფრო კარგად იქნება ჩვენი საქმე. საგანგაშო აი ეს არის...

პატივისცემით ბაჟმთ „საქართველოს“ რედაქცია

## უმრავლესობა მთლიანად დაკომპლექტებულია მოზარკონაობით?!

17 ივნისს საპარლამენტო ფრაქცია „უმრავლესობის“ წარმომადგენლებმა და მათმა თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა პრესკონფერენცია გამართეს. შეხვედრის ძირითადი მიზეზი 16 ივნისს ჩამოხლეული სესია იყო, როდესაც ვიცე-სპიკერმა საპარლამენტო ფრაქციის კოალიციის უმრავლესობის განცხადების კითხვა ვერ დაამთავრა დარბაზში მომხდარი ინციდენტის გამო.

ბატონმა ვახტანგმა ჭანაცხადა, რომ როგორც კი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი სტაბილიზაციის ახალი ეტაპი იწყება, პარლამენტში მაშინვე იქმნება დაძაბული სიტუაცია და ემოციური ფონი ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას. დამნაშავეების ძებნას, რა თქმა უნდა, დიდი დრო არ დასჭირდება... რჩეულიშვილმა ბრალი დასდო ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ ისინი სასტიკი წინააღმდეგნი

არიან საპრეზიდენტო არჩევნების, ძლიერი პარლამენტის და ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტისა. ამის მიზეზს ბ-ნი ვახტანგი ხედავს მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციის ანტიკონსტრუქციულ დამოკიდებულებაში ედუარდ შევარდნაძის პიროვნების მიმართ. მოკლედ, როგორც პიპინია ერისთავი იტყვოდა, არც თვითონ ცხოვრობენ და არც სხვას აცხოვრებენ.

ბატონმა ვახტანგმა თქვა, რომ დათმობების დრო წავიდა და საჭიროა ყველა წესრიგის დამრღვევ დეპუტატს გარკვეული სასჯელი დაედოს, მაგალითად, ორი თვით აკრძალოს სესიაზე დასწრება, სამაგიეროდ მიეცემა საშუალება იმუშავოს კომისიებში (რა თქმა უნდა თუ კომისიის წევრია). სადაც ყველას გასაოცრად, ოპოზიციის წარმომადგენლები ძალიან ნაყოფიერად მუშაობენ, ყველგვარი „ნივილ-კვილის“ გარეშე. ბატონმა ვახტანგმა

ისიც აღნიშნა, რომ საჯაროდ უნდა დასახელდნენ ხულიგანი დეპუტატები. მართალია, ბატონ ნოდარ ნათაძეს წინა კვირას გამართულ არც ერთ ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, მაინც გაიფლერა მისმა გვარმა (აქ ალბათ ამუშავდა ვახტანგ რჩეულიშვილის „თვალს ავახელ ზედ წამწამზე მიზიხარ“ დამოკიდებულება ნოდარ ნათაძის მიმართ). ბ-ნმა ვახტანგმა თქვა, რომ ოპოზიციის ყველა წარმომადგენელზე ამას ვერ იტყვის, მაგრამ ნათაძესთან მუშაობა არ შეიძლება და მისთვის ბევრად უფრო მისაღებია ირაკლი წერეთლის მიერ აკაკი ბრეგაძისთვის თავში წიგნის ჩართყმის ფაქტი, ვიდრე ნათაძის სიტყვები, რომ გოგუაძე ჭანჭიკია მოლაღატეობის ჯაჭვში. პირადად ჩემთვის ამიტომ ცოტა გაურკვეველი დარჩა, რა კრიტერიუმებით შეფასდება დეპუტატების დანაშაული და როგორ სასჯელს

დამისახურებენ ისინი, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ბატონი ვახტანგი შეგვიპირდა, ვიცე-სპიკერიც შეიძლება კარგა ხნით მოენატროთ რადიომსმენელებს.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ შეიქმნა სრულიად სტრუქტურული პარტია, რომლის საპატიო თავმჯდომარე ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი გახლავთ და ალბათ მალე მოქალაქეთა კავშირი მემარცხენე ცენტრისტულ პოზიციაზე დადგება, რადგანაც, როგორც სოც. პარტიის საპატიო თავმჯდომარემ აღნიშნა, არ შეიძლება მოქ.კავშირის პოლიტიკური პლატფორმა მხოლოდ შევარდნაძის მხარდაჭერა იყოს. ასე რომ, საქართველოში კიდევ ერთი ახალი პარტია შეიქმნა, თუმც ამ შემთხვევაში ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ახალი — ეს კარგად დავინყებულები ძველია...

პრესკონფერენციაზე, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ,

ფრაქცია „უმრავლესობის“ სხვა წარმომადგენლებიც იყვნენ. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და შევასრულებ ქ-ნ ნანა დევედარიანის თხოვნას, რომელმაც განგვიცხადა, დაწერეთ, რომ „უმრავლესობა მთლიანად დაკომპლექტებულია მოზარკონაობით, განსხვავებით ოპოზიციისაგან, რომლის წევრებიც მხოლოდ იმას იმეორებენ, რასაც მათი ლიდერები ამბობენო...“

სამშობლოს მტერი უნდა იყო ადამიანი, ბრმა და ყრუც უნდა იყო, დევედარიანის ამ ჭეშმარიტებაში რომ შეეჭვდე.

უმრავლესობის თითოეული წევრი, რა თქმა უნდა, თითო ჰეგელი ან თითო კანტი ბრძანდება, ოპოზიციაში კი... თუმცა ოპოზიციაზე ლაპარაკი არ ღირს, ისინი ხომ ადამიანები საერთოდ არ არიან. არც კანტი გაუგიათ, არც ჰეგელი და ცხადია უმრავლესობის წევრთა სიბრძნესაც ვერ ჩასწვდებიან...

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული კომპანიების და ბანკების შენახვა-ბრუნა სოციალური დაცვის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“.

სავაჭრო-სამრეწველო, საინვესტიციო, სატრასტო კომპანიებმა და ბანკებმა, რომლებმაც 1993—94 წლებში მოსახლეობისაგან სესხად მიიზიდეს სავალუტო სახსრები მალალი დივიდენდების ანაზღაურების პირობით, ვერ უზრუნველყვეს აღებულ ვალდებულებათა შესრულება, შეწყვიტეს ფუნქციონირება და უმრავლესობის ხელმძღვანელობა მიიმალა. მათ სადღეისოდ აღარ ძალუძთ ვალდებულების გადახდა, რის გამოც მათ უმრავლესობაზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. დაზარალებული მოქალაქეები, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენა, უმძიმეს ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 ნოემბრის №802 დადგენილების საფუძველზე ზოგიერთი ასეთი კომპანიისა და ბანკის ბაზაზე შექმნილი თვით მენაბრეთა სააქციო საზოგადოებები ფაქტობრივად ვერ ფუნქციონირებენ სათანადო სახსრების უქონლობისა და საგადასახადო მექანიზმების მოუგვარებლობის გამო. გარკვეული სირთულეებია შექმნილი დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა დაკავების, კომპანიათა (ბანკების) ფულადი სახსრებისა და უძრავ-მძრავი ქონების მოძიების საქმეში.

მოტყუებულ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის, სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე მათი ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციისა და მენაბრეთა სააქციო საზოგადოებების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მიზნით:

1. ნაწილობრივ აუნაზღაურდეთ ფინანსური ზარალი 150 (ას ორმოცდაათი) აშშ დოლარამდე ოდენობით საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) სახით იმ მენაბრეებს, რომლებმაც საკუთარი სავალუტო სახსრები 1993—94 წლებში სესხად მისცეს იმ კომპანიებსა და ბანკებს (დანართის მიხედვით), რომლებსაც გააკორტებულად სცნობს სასამართლო (საარბიტრაჟო სასამართლო). მენაბრეებზე ვაუჩერებით ნაწილობრივი კომპენსაცია მოხდეს თითოეული სასესხო ხელშეკრულების გათვალისწინებით გასაცემი ძირითადი თანხების მიხედვით (დივიდენდების გამოკლებით).

2. საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედ-

მხედველობის სამსახურმა (ვ. ბერიძე), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (შ. კვირიკია), რესპუბლიკის პროკურატურასთან (ჯ. ბაბილაშვილი), კონტროლის პალატასთან (რ. შვიციანი) და საგადასახადო ინსპექციისთან (დ. სალარიძე) ერთად 1995 წლის 15 ივლისამდე დააზუსტოს მენაბრეთა სიები (თანხის ჩვენებით) და გასაცემი საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) ზუსტი ოდენობა.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულ საპრივატიზაციო ბარათების სამოქმედო შემოღების საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელ სამსახურს (შ. კობრიძე) უზრუნველყოს შესაბამისი საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) გამოყოფა.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურს (ვ. ბერიძე) შეიმუშაოს მენაბრეებისათვის საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) გაცემის მექანიზმი და წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად.

საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) გაცემა დაიწყოს 1995 წლის 15 ივლისიდან.

5. გათვალისწინებულ იქნეს ფინანსურად დაზარალებულ მრავალრიცხოვან მენაბრეთა თხოვნა, რომლებმაც მენაბრეთა ბაზაზე ნებაყოფლობით შექმნეს სააქციო საზოგადოებები და მათმა ხელმძღვანელებმა მენაბრეთა წინაშე იკისრეს თანხების ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობა და, როგორც გამონაკლისი, 1995 წლის ბოლომდე გათავისუფლდნენ საბაჟო, დამატებული ღირებულების, აქციისა და ნავთობპროდუქტზე ნატურალური (10 პროცენტი) გადასახადებისაგან: სააქციო საზოგადოება „აჩი-2“, სააქციო საზოგადოება „ოქროს თევზი“, სააქციო საზოგადოება „ინოვაცია“, სააქციო საზოგადოება „სპორტი“ და სააქციო საზოგადოება „იმპერიალი“.

შეღვათები გავრცელდეს აღნიშნულ სააქციო საზოგადოებათა სასამართლოში რეგისტრაციისა და მენაბრეთა სიების (თანხებითან ერთად) დაზუსტების შემდეგ. სიები დამოწმდეს მაკონტროლებელი ორგანოების და თვით სააქციო საზოგადოებების სამეთ-

ვალურეო საბჭოების მიერ.

სააქციო საზოგადოებები, როგორც გამონაკლისი, სასამართლოში რეგისტრირებულ იქნენ ბაჟის გარეშე.

სააქციო საზოგადოებებს მიეცეთ წინადადება, რათა თავიანთი კომერციული საქმიანობა იმავდროულად წარმართონ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად და საზღვარგარეთიდან პირველ რიგში შემოიტანონ სასურსათო პროდუქტები და ეროვნული მემკვიდრეობის დარგთა ამოქმედებისათვის საჭირო საქონელი თანდაართული ნუსხის მიხედვით.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს (ნ. ჯავახიშვილი) აღმოუჩინოს დახმარება სააქციო საზოგადოებებს თანხების კონვერტაციისა და საზღვარგარეთ გადარიცხვის საქმეში.

7. სააქციო საზოგადოებების მიერ აღებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურმა (ვ. ბერიძე) დასვა საკითხი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე ასეთი საზოგადოებისათვის შეღავათების მოხსნის თაობაზე, ხოლო შეღავათებით ეფექტის მიღების შემთხვევაში — მენაბრეთა ბაზაზე შექმნილ ანალოგიურ სააქციო საზოგადოებებისათვის შეღავათების გავრცელების შესახებ.

8. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურს (ვ. ბერიძე) ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით დააწესოს მკაცრი კონტროლი, რათა სააქციო საზოგადოებებზე გავრცელებული შეღავათებით არ ისარგებლონ სხვა სამეწარმეო სტრუქტურებში.

9. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი) და შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირიკია) მიიღონ გადაწყვეტილი ზომები კომპანიებისა და ბანკების საქმიანობისა და დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა დასაჯებლად, განიავებული თანხებისა და უძრავ-მძრავი ქონების მოსაძიებლად.

შედეგები მოამსხენონ ყოველი თვის 15 რიცხვში.

გაბრძანება № 83.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო  
ფოს მეთაურს  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარეს  
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს  
საქართველოს რესპუბლიკის სამართალ-  
დამცავ ორგანოებს  
საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის  
უფლებების დაცვის კომიტეტს  
ქ.თბილისის კერძო ბანკებისა და კომპანიების მიერ გაძარცვულ მენაბრეთა

# მიმართვა

საქართველოს კერძო ბანკების და კომპანიების მენაბრეები, რომლებიც დარჩნენ თავლითური გზით გაძარცვულნი და მოტყუებულნი საქართველოს მთავრობის არაკანონიერი და უსუსური ქმედების გამო, აკეთებენ შემდეგ განცხადებას:

ყველა კერძო ბანკს და კომპანიას, რომლებიც მოსახლეობისაგან მოტყუების გზით აგროვებდნენ დიდძალ თანხებს, ჰქონდა სახელმწიფოსაგან ნებადართული ოფისები, მომსახურე პერსონალი, კავშირგაბმულობის საშუალებები, შეარაღებული დაცვა, სარეგულბდნენ ტელევიზიის გაუთავებელი რეკლამებით, იხდებდნენ გადასახადს სახელმწიფოს სასარგებლოდ, ჰქონდათ შტაბში და ბუკედი და ამავე დროს უწყებდნენ სპონსორობას სხვადასხვა საქველმოქმედო სამთავრობო ღონისძიებებს.

საქართველოს მთავრობის სამართალდამცავი ორგანოების ხელშეწყობით, ერთი-მეორეზე მიყოლებით ყველა კერძო ბანკს და კომპანიამ შეწყვიტა არსებობა, ხოლო ამ ორგანიზაციების თავლითი პრეზიდენტები კი სამთავრობო კომისიების ხელშეწყობით, ურთიერთდაინტერესების საფუძველზე მიიმალნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო ბანკებისა და კომპანიების მენაბრეებმა კრებებზე აირჩიეს საინცივიტო ჯგუფები, რომლებმაც თავის მხრივ საჩივრები შეიტანეს მენაბრეთა თავლითური მოტყუების შესახებ ყველა სამთავრობო ინსტანციებში, დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ბოლო დროს მიმდინარეობს მთავრობის მხრიდან ლაპარაკი საქციონერო საზოგადოების შექმნის შესახებ „გაკორტებული“ ბანკებისა და კომპანიების წარწინი თანხების ბაზაზე. ეს იქნება ისედაც გაუბედურებულ მენაბრეთა მორიგი მოტყუება, ვინაიდან, 99 % ბანკებსა და კომპანიებს არაფერი არ უწარმოებიათ, თავლითურად აკრიფეს ფულები და მიიმალნენ. მათი საწყისი კაპიტალი, ნულის ტოლია, ხოლო ასეთ შემთხვევაში საქციონერო საზოგადოების შექმნის იდეა კი აბსურდი.

სიტყვა გაკორტება ამოღებული უნდა იქნეს სმარტიდან, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოების ხელშეწყობით შეიქმნა ასეთი თავლითური ორგანიზაციები, რომლებსაც არაფერი არ უწარმოებიათ, მოსახლეობა გაძარცვეს და მიიმალნენ.

როგორც კავკასიის ბირჟაზე გამოჩნდა პირველი თავლითური ორგანიზაციები: კავკასიის ბანკის, „სასკოს“ და კონცერნ „ამირანის“ სახით, თავისი ყაბღი რეკლამებით, მთავრობას რომ დროზე აღეკვეთათ ამ შავი ჭირის დასაწყისი საქართველოში, სხვა ბანკები და კომპანიები აღარ შეიქმნებოდა და მენაბრეთა უმეტესი ნაწილი გაუძარცვავი დარჩებოდა. მოხდა პირიქით, კავკასიის კონცერნის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ამირან ქადაგიშვილი სახელმწიფოს მეთაურის უშუალო რეკომენდაციით დაწინაურებული იქნა ვიცე-პრემიერის პოსტზე, ხოლო მისი მოადგილე აკობიძე ფინანსთა მინისტრად. მათი ავტორიტეტით ფრთაშესხული მენაბრენი მიაწყდნენ ზემოთ აღნი-

შნულ ორგანიზაციებს, რის შედეგადაც მოტყუებული დარჩა ოთხი ათასამდე მენაბრე, ხოლო მითვისებული და დატყუებული იქნა ოთხი მილიონამდე დოლარი. კავკასიის ბანკის მმართველი ვ. ქორდელი, „სასკოს“ თავმჯდომარე ნ. ადამაშვილი, კონცერნ „ამირანის“ პრეზიდენტი გ. შვიფადაძე და მათი სულსჩამდგმელი ამირან ქადაგიშვილი კი მიიმალნენ.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაუსჯელობა გახდა სტიმული უამრავი თავლითური კომპანიებისა და ბანკების შექმნისათვის, რომელიც იგივე გაიმეორეს, გაძარცვეს მოსახლეობა და გაიქცნენ.

ახლა როგორც დაატირებულა რამოდენიმე თავლითი პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუდმივად მიდის საშუადგომლო წერილები მათ გამოშვებზე, პარლამენტართა ხელმოწერით. განა ეს ფაქტი არ არის მათ მონაწილეობაზე კერძო ბანკებისა და კომპანიების მძარცველურ მოქმედებაში?

ქ. თბილისის მენაბრენი არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიას, სრულიადაც არ სურთ პოლიტიკური სპეკულაცია. ჩვენ არ ვაპირებთ მასობრივი მიტინგების, (ან რაიმე სხვა აქციების) მოწყობას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაოდენობა 200 ათას კაცს აღემატება. მხოლოდ გაეყნებთ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ეთანადონ ჩვენი გაძარცვა მოხდა უშუალოდ მთავრობის წყურებითა და ხელშეწყობით, ჩვენი დანაკარგები უნდა აკონსტრუირდეს მთავრობამ.

2. მთავრობამ ჩვენი გასტუმრების შემდეგ უზრუნველყოს ყველა თავლითი პრეზიდენტის დაატირება და მათი ქონების ბაზაზე შექმნას საქციონერო საზოგადოება, რომლითაც აინაზღაურდეს ჩვენზე გაყვულ ზარალს.

თუ დაზარალებულ მენაბრეთა მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული, ჩვენ ვუცხადებთ ბიოკოტის მომავალ არჩევნებს. მიმართვის ტექსტი არჩევნების წინ დაეცხადება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტებსა და არჩევნებზე ჩამოსული ყოველი დამკვირვებელი უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციით საქართველოში ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ.

ჩვენ, 200 ათასი მოქალაქე ერთდროულად იტყუებული ვიქნებით ვუცხადებთ პოლიტიკური თავმჯდომარე რესპუბლიკის გარეთ, ვინაიდან ჩვენ საკუთარ სამშობლოში სრულიად დაუსჯელონი ვართ.

იმედს გამოთვქვამთ, რომ სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე ყურად იღებს ჩვენს მდგომარეობას და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს.

ქვირფასო საქართველოს გაძარცვული მოქალაქენო, გავერიანდეთ, რათა დავიცვათ ჩვენი მოქალაქეობრივი ინტერესები.

საქართველოს  
ბაპარტული  
მოქალაქენი

# სოლიკო საბაიშვილის საბოლოო სიტყვა

## წარმოთქმული საქართველოს უმაღლესი

### კოლეგიის სხდომაზე

პირველი გვერდიდან

ვარ რდესმე აუცილებლად დაინტერესდებიან ერთი უბრალო მიზეზის გამო: ასეთი დიდი ტყუილი არ შეიძლება დაიმალოს. ამის შესახებ საკმაოდ ბევრმა ხალხმა იცის.

საშინლად ვიტანჯები დაუმსახურებლად გასვრილი ჩემი ღირსების გამო. დავიძალად პირფერობასთან ბრძოლით. განვიცდი, რომ ვებრძვი ადამიანებს, რომელთა გვერდით ვცხოვრობდი, ვმუშაობდი, ადამიანებად ვთვლიდი, ვესალმებოდი და მჭეროდა მათი.

ვფიქრობ, სანამ სასამართლო წავიდოდე გადაწყვეტილების მისაღებად, ერთხელ კიდევ უნდა ითქვას მთავარი, პრინციპული საკითხის შესახებ: როგორ წარმოიშვა ხაბერიშვილის საქმე, თუკი მას არც ერთი იმ დანაშაულთაგან, რომელიც წინასწარი ძიების 1500 ფურცელზე, ავად თუ კარგად, არის წარმოდგენილი, არ ჩაუღვინია.

თავდაპირველად ვიტყვი ზოგიერთი პროცესუალური საკითხის შესახებ:

რამდენიც უნდა ილაპარაკონ აქ იმაზე, რომ სასამართლო თავისუფალი ყოველგვარი მიკერძოებისაგან, დაწოლისაგან, არ განიცდის ფსიქოლოგიურ გავლენას იმ ატმოსფეროსი, რომელიც ჩემს გარემოში შექმნილი, ეს ასე არ არის. სასამართლო ძიების მსვლელობამ დაამტკიცა, რომ წინასწარი ძიებისა და მოწმეების ჩვენებები სასამართლო კოლეგიას არავითარ ეჭვებს არ აღუქრავს, ხოლო სასამართლო ძიებისას წარმოჩენილი ფაქტები და არგუმენტები, რომლებიც აბათილებს წინასწარი ძიების მტკიცებულებებს, იწვევს უმაღლესი სასამართლოს გაიზიანებას.

ყველაფრის გაგება შეიძლება, მაგრამ მე ვერაფრით გამოვივა, რაში გპირდებოდათ, რომ ხელს კიდებდით ისეთ საქმეს, რომლის გაძლიერა არ შეგეძლოთ იმ სიტუაციაში და იმ ატმოსფეროში, რომელიც შექმნილი იყო რესპუბლიკაში ჩემს ირგვლივ. ეს მაწუხებს მე. და არა მარტო მე, არამედ ყველა წესიერ და ობიექტურ ადამიანს, რომელიც თვალყურს ადევნებდა პროცესს.

ყველანაირი შეკვეთა არსებობს, მათ შორის, მართლმსაჯულებისთვის შეკვეთაც. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. მაგრამ რა მიზანს ისახავდა მართლმსაჯულება, როცა ამ შეკვეთას ხელს კიდებდა? ძნელი გასაგებია. ვისგან მოდიოდა ეს შეკვეთა? შეიძლება ეს თვითინიციატივაა? ადრე თუ გვიან, ყველაფერ ამას პასუხი უნდა გაეცეს.

საქმე ის კი არაა, რომ ზოგიერთი ეპიზოდი უხარისხოდ არის გამოძიებული, საქმე ის არის, რომ ყველა ეპიზოდი ფალსიფიკირებულია, დამყარებულია ცილისწამებაზე, გამოძიებულია ცალმხრივად, მიკერძოებით. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ეს ეპიზოდები უნდა გამოიძიოს თავიდან, გაითვალისწინოს ჩემი უარყოფითი ჩვენებები. ამის ნაცვლად სასამართლომ ჩემი თითქმის ყველა შუამდგომლობა დაუქმყოფილებელი დატოვა: არ მოიწვია ახალი მოწმეები, არ გამოითხოვა მთელი რიგი დოკუმენტებისა,

არ ჩაატარა რიგი ექსპერტიზებისა, თუმცა, ამის აუცილებლობა იყო. სასამართლო გვარწმუნებს, რომ ამის გარეშე შეძლებს ობიექტურად შეაფასოს ყოველივე, რაც ნაკლებად სარწმუნოა... რადგან არ არსებობს შეფასებისთვის აუცილებელი ობიექტური პირობები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ჩემდამი არაობიექტურია. ეს უთუოდ გავლენას ახდენს სასამართლოზე და, განაწყოებს მას მიიღოს არა ობიექტური, არამედ ზოგიერთებისათვის სასურველი გადაწყვეტილება. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილება იქნება მკდარი და ზიანის მომტანი საერთოდ სასამართლიანობისთვის. ჯერჯერობით ყველაფერი აქეთ მიდის.

სასამართლო გამოძიების დროს დამტკიცდა ჩემი ჩვენებების სისწორე, ის, რომ ძიება მონაწილეობდა ფაბრიკაციაში. მოწმეებმა მაისურაძემ, წოწორიამ დადასტურეს, რომ ჩვენებების ჩამორთმევა ხდებოდა იძულებით, რომ ფაბრიკაციაში მონაწილეობდნენ გამოძიებლები ბაშალაშვილი, კუპრაშვილი, ვაფარაძე და სხვები... საქმეში მრავალადა მტკიცებულებანი, რომლებიც მიუთითებენ დოკუმენტების ფაბრიკაციაზე, ამხელენ პირადად რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობას ამ ფაბრიკაციაში ელემენტარული სასამართლებრივი ნორმების დარღვევით.

დასკვნა მხოლოდ ერთია: ეპიზოდები იბადებოდა კულუარებში, ხოლო შემდეგ ფორმდებოდა.

ამდენად, საქმე გვაქვს ორი მხარის — გამოძიების და მოწმეების შეთანხმებულ მოქმედებასთან ჩემს წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ყველაფერი შესაძლებელია. ეს იმდენად ნათელია, რომ ბრძაყ კი ხედავს. ეს დაამტკიცეს მოწმეებმაც. მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ აღეგნება სასამართლოს. ასეთ პირობებში ადვილი შესაძლებელია შეიქმნას ჩვენებები შარშანწინდელი თარიღით და ჩაიდოს ჩემი მოწმეების საქმეში. ყველა ამ მოწმის საქმე შეჩერებულია და ელოდებიან ჩემი საქმის დამთავრებას. ამიტომაც, რომ უარს გვეუბნებიან გვეცნოთ ჩემი ბრალდების მოწმეების საქმეებს, რადგან ისინი გზადაგზა იქმნება ჩემი საქმის სასამართლო მსვლელობის გათვალისწინებით. ეს ასეა.

სასამართლო ძიების დასაწყისში მე დაცვასთან ერთად განვაცხადე, რომ გილიგაშვილს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, რადგან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინასწარი ძიების ეტაპზე წოწორიას ეპიზოდის გამოძიებაში.

სასამართლოსთვის ცნობილია ძიების თვითნებობა, ამ ეპიზოდის გამოძიებისას დამებებული არასამართლებრივი მოქმედებები. სასამართლო და ყველა დამსწრე დარწმუნდა იმაში, რომ ჩემი და წოწორიას დაპირისპირების დროს გილიგაშვილი, რომელიც ესწრებოდა ამ დაპირისპირებას, ხედავდა, რომ გამოძიებელი კუპრაშვილი კარნახობდა წოწორიას, როგორ მოქცეულიყო,

მაგრამ ხმას არ იღებდა. გილიგაშვილი არა მარტო ბრალდებელია, არამედ ხაბერიშვილის ბრალდებით დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი...

გილიგაშვილი უბირია-მაისურაძის ეპიზოდის ორგანიზაციის აქტიური მონაწილეცაა. მაისურაძემ აქ განსწავლა ეპიზოდის ფაბრიკაციის მთელი მეთოდიკა. ვფიქრობ, ეს ორი ეპიზოდი საკმარისია, რომ აღიარო გილიგაშვილის აცილების შესახებ საკითხის დაყენების სასამართლიანობა. სასამართლომ უარი გვეთხრა ამ თხოვნაზე და ამით დაუშვა, რომ პროცესზე ბრალდებლის როლში მოგვეგლინა ხაბერიშვილის საქმის ფალსიფიკაციის აქტიური მონაწილე. ასეთ სიტუაციაში ობიექტურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მარწმუნებდნენ, რომ სასამართლო წავა პროცესუალური კოდექსის სრული დაცვით. ჩემი ეჭვი ამ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაში არ მიიღეს. სხვა უფლება, საკითხის დაყენების გარდა, მე არ მქონდა, რა მოხდა სინამდვილეში?

ყველა შუამდგომლობა, რომელსაც სისამართლის დადგენისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ბრალდებლის წინააღმდეგ, სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა (ეს მიუთითებს, რომ ბრალდება და სასამართლო მოქმედებდნენ ერთობლივად, წინასწარი შეთანხმების მიხედვით). სასამართლო საშუალებას აძლევდა ბრალდების მოწმეებს, არ ენასუხათ დაცვის კითხვებზე, ხელს უშლიდა დაცვას, გაერკვია დეტალები, გამოეშკარავენინა ცრუ მოწმეები, საქმე ისე მიყავდა, რომ ჩრდილი არ მიდგომოდა წინასწარი ძიების ვერსიას, ნებას აძლევდა პროვოკატორებს, უხამსად მოქცეულიყვნენ, შეურაცხყოფა მოეყენებინათ ჩემთვის, წინასწარობიდან გამოვეყვანე, აუღელვებლად ადვენებდა თვალს უბირიას, ბუჩუკურის და მათ მსგავსთა თავხედობას ტელეკამერის წინ. როცა ცრუ მოწმეები დაცვის კითხვებით იბნეოდნენ, სასამართლო მათ ამშვიდებდა: „თქვენ ნუ ლელავთ, ამას დახვრეტის მუხლი აქვსო“, ხოლო ადვოკატის მისამართით ირონიით ამბობდა: „ეგ ვალდებულია, დაიცვას ბრალდებული, რომ გამართლოს სამიგლინებო ხარჯებიო“. სასამართლო დარბაზში ხალხის რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა საკითხი იხილებოდა: როცა ჩვენებას იძლეოდნენ ბრალდების მოწმეები, დარბაზს ხალხით ავსებდნენ, ხოლო როცა სიტყვას იღებდა დაცვა, დარბაზში ხალხს კანტიკუნტად უშვებდნენ.

ამრიგად, პროცესუალური ნორმების დაცვა გამოიხატა იმაში, რომ მას ხშირად არ იცავდნენ, ფორმალურადაც კი.

მე მირჩევდნენ, არ გამეფუჭებინა დამოკიდებულება სასამართლოსთან, არ გამებრაზებინა პროკურატურა — თქვენი ბედი ხომ მათ ხელშია, ისინი კი დავალებას ასრულებენო. შეიძლება ამაში არის რაღაც ლოგიკა. მაგრამ როცა ძირითად საკითხში არ არის არავითარი ლოგიკა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვიზიარებდი, როცა ეს არ არის იმ ფაქტში, რომელსაც ხაბერიშვილის

საქმე ჰქვია, მე არ მსურს ჩავებლაუტო რომელიღაც „ცხოვრებისეულ“ ლოგიკას, როგორც მას უწოდებდნენ ჩემი გამოძიებლები. მათი ლოგიკაა ცინიკურად შეაფასონ ყოველივე, დააშინონ ხალხი ოცდაჩვიდმეტი წლით, განაცხადონ, რომ სამართალი არც ყოფილა და არც იქნება, რომ საჭიროა „შეეკრა“ ძიებას. ასეთ ლოგიკას ქადაგებენ სამართლებრივი ორგანოს წარმომადგენლები, რომლებსაც ხელი ურევიათ ხაბერიშვილის საქმეში.

ამიტომ მინდა ვთქვა ყველაფერი ისე, როგორც ვფიქრობ და როგორც მწამს. მჯერა, რომ ეს მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. მჯერა, რომ ეს ჩემი ვალია, როგორც მოქალაქისა.

ჩემი არაკანონიერი დაპატიმრების შემდეგ ძიებამ მოიჭრა უკან დასახვევი გზები. კრიტიკულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიყავი. მესმოდა, რომ პარტიული ორგანოების თანხმობის გარეშე ისინი ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდნენ.

ამ სიტუაციაში — მძიმე სტრუქტურული გაცდების, შერყეული ჯანმრთელობის პირობებში, როცა გაჩნდა მოულოდნელი სიკვდილის შიში, როცა მესმოდა, რომ, თუ მოკვდებოდი, სიმართლეს ვეღარავინ შეიტყობს, ძიებამ ჩემს მიმართ გამოიყენა მეთოდი, რომელმაც სრულიად გამოიყვანა მდგომარეობიდან. დავკარგე აქტიური წინააღმდეგობის უნარი, გავხდი რბობივით ადვილად სამართავი. ასეთ მდგომარეობაში დაიწყო შეტევა დიდი თანამდებობის პირთა დისკრედიტაციის მიზნით.

მთელი ეს პერიოდი, ბუნებრივია, ქაღალდზე ფიქსირებული არ იყო. შემდგომში დაკითხვის გაფორმებული ოქმები იხედა და იყრებოდა. მე მაიძულეს გამეკეთებინა რამდენიმე ყალბი განცხადება საკუთარი თავის წინააღმდეგ. შევეცადე ამეხსნა, როგორ ხდებოდა ეს, მაგრამ სასამართლომ არ მოინდომა ამაში გარკვეულიყო.

ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენების საკითხი წინასწარი ძიების დროს არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი და მისი უყურადღებოდ დატოვება შეცდომა იქნებოდა. ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა ამაზე გავამახვილო სასამართლო კოლეგიის ყურადღება. ჯერ ერთი, ეს რეალობაა. გამოძიებისთვის ეს არის საშუალება, მიიღოს ნებისმიერი ადამიანისგან მისთვის საჭირო ჩვენება... ძიებამ ამ მეთოდით ჩამინერგა შიში, უნებისყოფობა, გამოიწვია პალუცინაციები (ამის შესახებ მე ვამბობდი, ვწერდი განცხადებებს. ისინი საქმეშია).

ახლა სასამართლო კოლეგია აცხადებს, რომ ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. ეს თქვენი საქმეა. მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს მიმართ წინასწარმ ძიებამ გამოიყენა სასტიკი, კანონსაწინააღმდეგო, აკრძალული მეთოდები. ეს არის არა მარტო ამ კონკრეტული სასამართლო განხილვის საქმე, არამედ ეს არის საქმე, რომელიც სპეციალურად უნდა იყოს გამოძიებული, რადგან, არა მგონია, მე ერთადერთი მსხვერპლი ვიყო იმ ხალხის, რომელიც თავის თავს სოციალისტური სახელმწიფოს სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელს უწოდებს...

კატეგორიულად ვაცხადებ: ჩემი საქმე თავიდან ბოლომდე შეთხზულია. ამ შეთხზულ ეპიზოდებში იმის ძებნა კი არაა საჭირო, რასაც არასოდეს ადგილი არ ჰქონია, არამედ, საჭიროა გამოძიებულ იქნას „ხაბერიშვილის სისხლის“ სამართლის საქმის ფაბრიკაციის საქმე. მაშინ დავადგენთ სიმართლეს. ახლა კი ჩვენ უკანონობის დაკანონებით ვართ დაკავებული.

გამოძიება, რაკი ჩემს მოქმედებაში და-





# არს რა მიზნელა ტირილმა არს რა სრემელუხის დენამა მიზნელა ისევ სიცილმა ლაქარდიანმა ენამა

## დებუტატმა ფრიდონ საყვარელიძემ კარატე ვერ ისწავლა

ბასულ კვირას პარლამენტში კიდევ ერთი ფინთი სკანდალი მოხდა. სახელგანთქმული ვიცე-სპიკერ რჩეულიშვილის „ვერაგობით“ გამწარებულმა საყვარელიძემ, მას, აწ უკვე ყოვლად უწყინარ, სიტყვად ქცეული, დემაგოგი უწოდა, რისთვისაც უკან ასეთი „ზრდილობიანი“ „ხურდა“ მიიღო:

შენ ან სულელი ხარ, ან მოვრალი ან ნარკომანიო. საყვარელიძე ტრიბუნაზე აიჭრა და სანამ იმის თქმას მოახერხებდა, პირველიც, მეორეც და მესამეც თქვენ ბრძანდებით — მიკროფონი გამოურთეს, უკნიდან ვიცე-სპიკერი მიუახლოვდა და ფრზით — გამოდი შე ნაბიჭვართო — გაიწვია.

საყვარელიძე დაუყოვნებლივ გაჰყვა. რჩეულიშვილის მცველები ფრიდონს მოულოდნელად ეცნენ და ტაბლოს უკან შეითრეს.

სცენა ძალიან ოსტატურად გათამაშდა. ერთი მცველი საყვარელიძეს ზურგით აეფარა, რჩეულიშვილმა კისრულად გაშალა მარჯვენა (ბავშვობაში ნაწავალი ლექსი თუ გაასხენდა — „გმირო გაშალე მარჯვენა“) მცველმა თავი გასწია და ვიცე ვახტანგმა მოიქნია, და რა მოიქნია... მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი ვახტანგი დემრთს არ ნაყვარება, რადგან „დრეკა“ საყვარელიძემ კი არა, რჩეულიშვილმა იწყო...

ფრიდონმა მუშტი აიცილა, ამასთან მუნთქუესვე (მაშინათვე, დაუყოვნებლივ) უთავაზა წიხლი მომხდურს.

ამასობაში ბრძოლის ასპარეზზე დამხმარე ძალებიც მიჭრენ და გაჰყარეს „მებრძოლი მტერნი...“

მეორე დღეს ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე რჩეულიშვილი იტყვის — რესპუბლიკელები უზრდელები არიანო (მოგესხნებათ, საყვარელიძე რესპუბლიკელი გახლავთ). როგორც ჩანს, ვიცე სპიკერის გონება ასე ჭრის — თუ მან შეიგინა და მუშტიკრივი გამართა, ეს საშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე ხდება, თუ ოპოზიციონერმა ჩაიდინა იგივე ქმედება, ცხადია უზრდელი და ხულიგანია. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რაც ამ ჩხუბის შემდეგ მოხდა.

საყვარელიძეს შემოესია რამდენიმე დებუტატი, სხვათაშორის უმრავლესობიდან და გააკიცხეს, რომ გვეგონა, მათ ლიდერზე წიხლით შეხების გამო ამუნათებდნენ, თურმე საქმე სულ სხვა რამეში ყოფილა.

შენაო, — ჰყვედრიდნენ ბატონ ფრიდონს — სამ თვეს კარატეში იმიტომ გამზადდებით, რომ „მტერი“ ერთი დარტყმით ვერ დაგეგლოთ?

## ბოროტი ექიმი და რჩეული შვილი

რჩეულიშვილ-საყვარელიძის

ინციდენტი ზემოთ მოთხრობილი ამბებით არ ამოწურულა. საყვარელიძემ

აიტყვა, ვინ ლოთი და მორფინისტი და ვინ არა, ნარკოლოგიურში გამოინდება, წავიყვანეთ და ორივე გაგვსინჯეთო, მიუხედავად გოგუაძის მუდარისა, თავს ნუ იჭრითო, მაინც წავიდეთო, — ყინად უპასუხა რჩეულიშვილმა.

წავიდნენ. ფრიდონს თავისი ამაღლა ახლდა, — მეგობარი პარლამენტარები.

ვახტანგს თავისი, — დაცვა, პარლამენტარები, ცოლი და ცოტა ხანში მამაც იქვე გაჩნდა. ნარკოლოგიურში ბევრი სასაცილო ამბავი მოხდა ბატონ ვახტანგის პატივისცემის გამო, ყველა საიდუმლოს გაზეთში არ გამოვიტანო.

ერთს კი ვერ დაფარავთ და გვიპატიოს ვიცე სპიკერმა.

ნარკოლოგიური შემოწმება, მოგესხნებათ, სახელდახელო დათვალიერების შემდეგ, შარდის ანალიზითაც ხდება.

მაგრამ დახეთ უბედურებას. ექიმი, ეტყობა, ბოროტი ადამიანი იყო, რადგან მაინცდამაინც რჩეულიშვილს აუხირდა: გინდა თუ არა, მეორედ უნდა მოშარდო, რადგან პირველ შემთხვევაში ამ პროცესს არავინ ესწრებოდა და იქნებ სხვისი შემოგვარცხული.

ვიცე სპიკერი იძულებული გამხდარა ეს უსიამოვნო პროცედურა გაემტორებინა.

მეორე მოსმენით, უკაცრავად მეორე გასინჯვით, ანალიზი მიღებულ იქნა.

ეტყობა, ექიმს მართლა დესტაბილიზაციის გამოწვევა სურდა ქვეყანაში და ამ სიუჟეტის ასეთნაირად დასრულება:

ვახტანგი იქა (ნარკოლოგიურში), ფილო აქა (პარლამენტში).

მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვახტანგიც აქ არის და ფილოც.

## მეორედ შეგინებისას დავსჯი...

იუმორის ნიჭი, როგორც გურულების უმეტესობას, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურსაც მოჭარბებულად აქვს.

ერთ ელიტარულ ვახშამზე, როცა სულ 6-7 კაცი უსხდა სუფრას უმაღლესი ჩინისანი და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მეთაურიც იმყოფებოდა, რატომღაც გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორიც მიიწვიეს.

შუა პურობის ჟამს პროფესორმა ნოდარ ლომოურმა ყოველგვარი წინაშესავლის გარეშე, მოულოდნელად ამ სიტყვებით შესწივლა სახელმწიფოს მეთაურს: ბატონო ედუარდ, „პუპუხამ“ (ნ. ნათაძეს გულისხმობდა) დედა შემაგინაო.

რა ექნა შევარდნაძეს, ხომ არ ეტყოდა, რატომ შეგაგინა მე იმის ასე და ისეთ.

წაუყრუა ერთი. ლომოური არ გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ შესწივლა:

ბატონო ედუარდ, „პუპუხამ“ დედა შემაგინაო.

წაუყრუა მეორედ. მესამედაც რომ შესწივლა, შევარ-

დნაძემ გადახედა „საქართველოს“ რედაქტორს და სიცილით ჰკითხა:

— ბატონო ნოდარ, ნათაძემ დედის გინება იცისო? (მაშინ პარლამენტში ერთმანეთის გინებამდე ვერ კიდევ არ იყო საქმე მისული)...

— არასოდეს გამიგია. პირველი შემთხვევაა, ბატონო ედუარდ, — იყო პასუხი.

— პირველი შემთხვევა ყოფილა, მეორედ რომ შეგაგინებს, მითხარი და დავსჯიო, — „დაამწვიდა“ შევარდნაძემ პროფესორი...

## შევარდნაძე და მებაჟე (ანეკდოტი)

ჩვენი სახელმწიფოს მეთაური საზღვართან რუსმა მებაჟემ გააჩერა და საბუთები მოსთხოვა. აღმოჩნდა, რომ საბუთები შინ დარჩენოდა.

— გამიშვით — ედუარდ შევარდნაძე ვარო — სთხოვა მებაჟეს.

— რით დაამტკიცებ შევარდნაძე რომ ხარ? — იყო პასუხი.

— როგორ უნდა დავამტკიცოო, — გაუკვირდა მეთაურს.

როგორ და მარტივად, ამას წინათ პაპაჩა ბურჭულაძე გავაჩერეთ, საბუთები არც იმას ჰქონდა, მაგრამ იმღერა და მივხვდით, რომ ნამდვილად ბურჭულაძე იყო და გავუშვიეთო. უფრო ადრე ნინო ანანიაშვილი ჩავარდა იგივე დღეში, მაგრამ ისე დაბზრიალდა ადგილზე, მივხვდით, ანანიაშვილი რომ იყო და ისიც გავუშვიეთ, შენ რა შეგიძლიაო?

— შეწუხდა ჩვენი მეთაური, მე არაფერი შემიძლიაო — თქვა.

აბა, ნამდვილად შევარდნაძე ყოფილხარო, — იცნო მებაჟემ და გაუშვა...



## გიგა ლორთქიფანიძე და მხედრიონი


ჩვენს საყვარელ რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს იუმორის ნიჭი არასოდეს ღალატობს. ამას წინათ, პარლამენტში მაშველთა კორპუსზე (მხედრიონზე) რომ გალაშქრება შედგა, ბატონი გიგა იჯდა ჩუმად და ხმას არ იღებდა.

შესვენებაზე რამდენიმე ახალგაზრდა ოპოზიციონერი მიიჭრა მასთან და უსაყვედურეს — მხედრიონის წინააღმდეგ ხმას რატომ არ იღებო.

გიგა არ დაიბნა და იქით შეუტია: ერთი ფეხი რომ მაქვს მომტვრეული, გინარიათ, ახლა თქვენ ის გინდათ, მეორეც მომტვხონ და პარლამენტში კალიასკით ვიარო — ხომ?

დურუ კამბაჩიძე

საქართველო  
საბჭოთაო



# სილაგაზა — უპირველეს ყოვლით!

თუ მესიორებმა აბ გვლადაცდნ, პლანდინუსი მბრანეს მფსპიტის „პამლევი“, სილაგაზა სათნოემაჟე უკუთეს მეგონას სად იმთვისს. პლანდინასთვის სიკუთე, ჭყმბატიცემა და მმევიორებმა ერთი იცდ. თასეულმათა გადათასემა, უტბო ზუსცად ვი- გაუთასურებამ ადგილმბთივი ნეკმბინზმის იმ მავმნელ ებდამი, ჩვენს ეყყანას ბბმ უდგას (ბა თდმა უნდა, ცლცა სნით) ადამიანები ამ აბალეუმელ იდეამიგ ვი შეაყჷვა- თბბრე ამა ვის მბუვიდდა აბბე აბბად, ბბმ ადამიანმა მებბლემა საკუთბთი გეზმეზმასაც ვი ულადაცდს და იმ ლამაზმანს, ბბმელსაც მმევიორებმა ითასი ექულა ეკუთვნის, ათას ერთი დარქუსდ ან ცსბბას მთხმცესდესბამვი!

მაგრამ დღეს რა აბ სდებ, ვადეყენებთ იუნბბით მუთებრ, მაგრამ დიდი მმევიორების გამბმსაცველ წებრის ამ თებბჟე. აბბესაცნი აბიან „მბდალაქეთა კავბბისს“ და ერთ-ერთი ასლციანისის თავმჯდმბბბევი, ბბმელმბმაც სპლნსბბბბმ გაუქიეს ამ ცლცა სნის წინ ჩაცბბბეულ მმევიორებთა ერთ-ერთ კბნურსს. მკითხველმა და წებრის ავცბბბა მუგვინდნ, თუ ბბბბის სასელის ნაცვლად მბბვალწებრის ჩაწბბა ვბბბბთ.

## იყიდეთ სილაგაზა...

ნმბბ კარგა ხანია შე- ვეგუთ (თუმცა რა შესაგუ- ებელია) რომ საქბრთველო- ში ყველაფერი იყიდება, და- წყებული თბნამდებობბბან, დამთავრებული ტერიტორი- ებით. მაგრამ თუ სილაგაზის ყიდვაც შეიძლებოდა ვერ წარმოვიდგენბთ.

სილაგაზე ეს ხბმ ისეთი კატეგორიბა, რომელბნაც საერთო არ უნდა ჰქონდეს რბბმე სიბინბურეს და მბბ- ნაციას. სილაგაზე ყველაზე უკეთ თავის თავზე თვითონ ლბბბბბბბ. თუ ნამდვი- ლად ლამაზი ხბრ ამას ყველა ხედავს, თუ სადელ-

ვლო — მით უფრო. მაგრამ სამწუხბროდ ამას წინათ ერთ-ერთ ქალა- ქში გამბრთულ სილაგაზის კონკურსის ჟიურის თავმჯ- დმბრესა და მის წევრებს რამდენჯერმე უმტყუნათ მხედველობამ, როცა სილა- გაზის მიხედვით კი არ შე- აფასეს მონაწილენი, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელი მონაწილის მამიკოს უფრო ძლიერი ზურგი ჰქონდა და რომელი მონაწილე ჟიურის რომელი წევრის ნაცნობ-მე- გობბბი იყო.

კონკურსის ჩატარებამდე დაახლოებბთ ათი დღით ად-

რე ხმა დაირბა ვინ უნდა აერჩიბთ დედოფლებად ჯგუფიდან და ვის რა ად- გილები შეხვდებოდა. ამის გამო, პროტესტის ნიშნად ბავშვებმა მიატრევს მეცა- დინებებბ, მაგრამ ისინი დაბბრუნეს და დაბბმდეს რომ ყველაფერი თბბექტუ- რად წარბმბრთებოდა. მაგ- რამ სამწუხბროდ ასე არ მოხდა. არც დედოფლები არჩეულბნ თბბექტურად და არც სპბრბო ადგილები გა- ნაწილებულბ სამბრთლია- ნად. რჩებბ ისეთი შბბბეკ- დილებბ რომ სილაგაზის კო- ნკურსების მოწყობბ მავბნ- თბთვის ხელის მობბბბის კიდევ ერთ საუკეთესო სა- შუალეობად გადაიქცბ.

● გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ იმსჯელა ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის შესახებ.

პარტიას მიანბია, რომ აუცილებელია საგადასახადო სისტემის ლი- ბერალიზაცია როგორც საგადასახადო განაკვეთის, ასევე გადასახადების სახეობათა მიხედვით.

● გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში განიხილეს ქვეყანაში შე- კმნილი მბბმე საშინაო მდგომარეობის მოგვარებისა და ბინათმშენებლობის განვითარების საკითხი.

მოეწყო შეხვედრა თბბლისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანე- ბის შრომბთი კოლექტივის წარმომადგენლებთან, რომლებმაც დასვეს საკი- თბი ქარხნის სამბბბბზე მეტი მუშაკის უბინაოდ დატოვების შესახებ და სთბოვეს გრპ-ის დებუტატებს საკითხი დასვან ბარლამენტში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: გრპ-ის აღმასრულებელი მდივანი რ. გოციბრბე, დებუტატები ვახტანგ ჭაბბრბე და გურამ ბერიშვილი.

პარტიაში შეიმუშავეს სქემა ქვეყანაში ბინათმშენებლობის ალტე- რნბტიული ვარიბბტებბთ დაფინანსების შესახებ.


● გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრები ნობდარ ნობბე, რომბნ გოციბრბე და დავით ბერბენიშვილი შეხვდნენ არბორგანული ქბბბის ინსტიტუტის თბნამშრომლებს. შეხვედრაზე იმსჯელეს საქბრთველოს საგარეო პოლიტიკური ბრბენტაციის, სამხედრო მშენებლობის, შიდა ადმინისტრაცი- ული მოწყობის, პრბვბტიზაციისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ინსტიტუ- ტის თბნამშრომელთბ თბბონით ასეთი შეხვედრები კვლავ გაგრძელდბბ.

**გრპ-ის პრპს-ცენბრბ**

ორშაბბბთს, 26 ივნისს დედა ენის ძეგლბნ 18 სთ-ზე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მბრთავს საინფორმაციო მბტინგს საბბრლამენტო ბრჩევენების დანიშვნასთან დაკავშირებბთ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 8—9 ივლისს გაბმბრთებბ პარტიის მეორე ყრილობბ.

1 ივლისს, 12 საბბზე, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ბფისში ჩატარდებბ გრპ-ის დბრბბის ღბა სხდობბ. რეგიონალური ბრგბნიზაციების წარმომადგენლების დასწრებბ სავალდებულობ.



**შვეულზბ:** 2. გამბჩენილი ძე. ბერბენი დრბბბტურბი, კომედიობგრაფი 3. ვახის წყვილბტვენიბნი რკბ 4. ებრბ ძე. საქბრთველოში 5. XIX ს. გერმბნელი კომბბბბტობრი 7. მიმდინარეობბ მე-17-18 სს. ვერობბში ლიტერბტურბსა და ხელოვნებბში 11. XIII-XIV ს. დიდი იტბლიელი პოეტი 12. ლიტერბტურ- ბული ნაწარბბების წინ გამბდმენებული ტექსტი 14. გამბუმწვარი აგური 19. სბბრტული; გუნდური თბბბში 20. ზობის ერთეული ინგლისსა და ამერიკბში 21. ფოტოფირის ცალკეული სურბბთი 22. გბრბული ცხველი 23. აბრეშუმის მკერბვი ქსოვილი 24. XVI ს. გამბჩენილი ფრბნგი მწერბლი 26. ლექსის ტებპში ერთი და იბვე თბნბმონის რამდენიმეგერ გამბყენებბ 27. პრბფსიული მობგაწე ლიტერბტურბში 29. ავსტრბლიური ძბლი 32. სბრეველბ ბბლბბი 36. XIX ს. ფრბნგი კომბბბბტობრი, კომბბბური ბბბრების ავტობრი 37. გამბჩენილი რუსი ფერმწერი XIX-XX ს. 39. ზეგის ფარი 41. რბბმე პრბცესის დასრულე- ბული წრე.

**თბრბულზბ:** 1. მიდამოს ხედი 5. პასტორბლი 8. ფოთლოვანი ხე 9. ტრბგედიის მუზბ ძე. ბერბნულ მბბბობგბბში 10. საბუნებისმეტყველო მეცნიერებბ 11. ერთ-ერთი რელიგბი გავრცელებული ჩინეთში 13. უხეშად დამუშავებული ჭვბთ შენობის მობბრკებებბ 15. დასასრული 16. XIX ს. გამბჩენილი გერმბნელი კომბბბბტობრი 17. მელოდიბ, ჰბნგი 18. ბბრბენების განკბრგულებბ, რომელიც უნდა მსტრულდეს მისი გბრბბბბბების შემდეგ 21. სასტბბბო შრბფტი 23. ღვთისმშობელი 25. რბბმე ტექსტის შესწორებბ 28. „ბბბთ ერთი ლბბის“ პერსონბგი 30. XX ს. ქბრთველი პოეტი 31. წბბლის შემბბბუნებბ სხელში 33. დედამიწის ბრქბბკული სბრტყლის საშბრბთი ზონბ 34. ქბრთველი მწერბლი, ხბლხბბბნი 35. ერთგვარი სბთვბლე 38. კომედიური ხასიბთის მუსიკალური ნაწარბბები 40. რბბმე აქროლბდი ნივთიერების კონცენტრბრებული ხსნარი 42. ხურბბ ფული აშშ-ში 43. მბბბტრული სამკბული 44. ბბბბ „გბმბბზების“ პერსონბგი 45. სობბბური წარმობავლობის ბმერბკელი მწერბლი 46. კლიტემნესტ- რბსბ და ავბმმბონის ქბლიშვილი

**წინბ ნობბრში ბამბკვბმეშბული კროსვობრდის პასუხბბი**

**ვობრბონბტლზბ:** 4. ბბბტობმბ. 5. ბრბგინბლ 8. ნბბბგი 10. პლბბბ 15. ბრბბბი 16. ლბსტი 17. ტბციბნი 20. გბმბ. 21. ესეი 22. სბმბბ 23. უნბრი 24. ბბბე 26. ბრბბ 29. ბნექსბ 30. პობტეი 31. პუნსონი 34. ბრტური 35. იბლიბ. 37. სბსკრონბ 38. ურბბბბბბი.

**მბრბბბტლზბ:** 1. ბბბრბნი 2. გობტეი 3. ბბბლბვბ 6. ლბბბი 7. ბბბბ 9. ბრბბ 10. ბეტრე 11. პრბმბდონბ 12. ბმფბბრბკეი 13. დბსონბნი 14. ბნდერსონი 18. შბრბი 19. მესბ 25. ებბბი 26. ბკბნი 27. ტბტრბ 28. გულიბ 32. კუბბურბ 33. ცბბბბბი 36. კრბბი.

მთავარი რედაქტორი  
**ნოდარ ბრიგალაშვილი**  
სარედაქციო კოლეგბ:

დავბთ ბბრბენიშვილი, როგბნ გობბრბკე,  
თბბბ ღბბბბბბბ, გბლბ ებბბბბბ (ბასუნისმგებელი მდივანი),  
მბხბბლ მბხბრბბბ (მთავარი რედაქტორის მობდგილე), ნოდარ  
ნბბბბ, შობბ ნბბბბბბბ, თბბბ პბბბბბბ, ივლიბნე ხბბბბბბბ.

რბდბმბბის მბსბბბბბ:  
თბბბბბ, თბბბბბბბბბის მობდბნი,  
კუშბბბბბ ბ. 5

შემბბული მბსბბბბ ავტობრებს არ უბრუნდებბთ.

გბბბბის ინფბმბბი **66447**

ფბსბი **1260 რუბლი.**  
ბნ **300 000 კუშკონი**

ტბლფობნბბი:  
რბდბმბბბი:  
**93-20-36,**

რბდბმბბბის მობდბბბ, პასუხისმგებელი მდივანი:  
**93-19-99**  
**93-18-41**